# სამშობლო

ხუთშაბათი
10 სექტემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 172 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 172

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩეკნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, საძმობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.


ამიერიდან ქ ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „სამშობლო“

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით


**გაზეთი ღირს:** ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**



აზ. ნიკოლოზ ონისიმეს ძე და ელენე ნიკოლოზის ასული მეძმარიანშვილები გულითადის წყუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს უდროოთ გარდაცვალებას მათი შვილის

**ვოთასას,**

რომლის გასვენებაც დანიშნულია ათს ამ თვეს, დღით ხუთშაბათს, სოფელ ბაშში. 1—1

საეოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

**„რუსეთი“ („როსსია“),**

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 76

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ღოლოგერიძე.**

**განცხადება.** ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო დამხმარებელი საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს აღნიშნულ საზოგადოების წევრებს, რომ კვირას, 13 სექტემბერს, ამა 1915 წ., დილის 10 საათზე, დანიშნულია ქუთაისის ქალაქის თეატრის შენობაში

**წევრთა საზოგადო კრება** და სთხოვს წევრებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას. 1—1—073

**მასწავლებელი** ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელდა ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ შეტადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აბორინის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სახაზინო შადატის ახლოს, სახლი სამხარაძისა.

ნახვა დიდს 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, 5—6 საათამდის. 12—4

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

**დიდი იაფი ვაჭრობა**

**ფეხსაცმელეგისა და საგალანტერიო საქონლისა.**

**რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.**

თვ. პატივისცემით ღ. მ. ბახტაძე.

**ექიმი** **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ეოფილი ქალაქის თავის დ. ა. ფორთქიფანიძის სახლი. თვ.

**ექიმი** **ი. ჩარეიძეი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი** **გაბრიელ იოსების ძე**
**გოკიელის**
**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.**

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

**ზეგნა** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკათებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი „თეოდო[illegible] ლიპოვის მაღაზიის პირდ[illegible]

**მასაჟით სამკურნალო** **კაბინეთი**
**მარ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შე[illegible] ლიად აღარ სცვინდებ[illegible] ვერსა და სირბი[illegible] 9—2-დ[illegible] ქუჩა, [illegible] თ.

ელეკტრო **„რადიუმი“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 10 სექტემბრიდან ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი

**ალმდგარი და დამარცხებული.**

ძლიერი თანამედროვე დრამა 6 ნაწილათ, **ლიუსი მერნის** მონაწილეობით.

**„სინათლის“** საზოგადოების **დედათა ქართულ სასწავლებელში**

**მისაღები გამოცდები** სწარმოებს ყოველ დღე, დილის 8 საათიდან. სასწავლებლის კურთხევა მოხდება 14 სექტემბერს. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

თხოვნები მიიღება სასწავლებლის ბინაზე (თბილისის ქ., გ. მეიფარიანის სახლში).

**იგეჭდება და ამ დღეებში გამოვა**

გასასყიდათ ახალი გამოცემა **სამსონ დათეშიძის ქართული დედანისა და სამხატვრო ნიმუშებისა.**

**გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში**

**მთავრიშვილის** წიგნის მაღაზი გამოცემა ქართული წიგნი:

**„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,**

[illegible]

მოსკოვის ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში კურს დასრულებული ვეძებ მასწავლებლის ადგილს ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში. სპეციალურათ შესწავლილი მაქვს,

**ქალთა ტანისამოსის ჭრა-კერვისა და სხვა და სხვა ხელსაქმე.** მაქვს სათანადო მოწმობა და ატესტატი მოსკოვის საბელოსნო გამგეობისაგან. ვიყვან ავრეთვე მოწაფეებს. სახლში მისამართი: კაზაკოვის ქუჩა სახლი კიკვაძისა. 6—3

**ქ. ქუთაისი.**

**ექიმი ქალი** **ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა**

**ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა**

ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით
სნეულებს დილის 9—12 საათ. ⅔ საღ. 5—6 ს.
ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.
თვ. 975

დ. ყვირილაში სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, ყუბარაძის სახლში

**გაიხსნა მოსამზადებელი სასწავლებელი,**

**სადაც მოამზადებიან ბავშვები ყველა დაბალ და საშუალო**

სასწავლებლისათვის: გიმნაზიის, რეალურის, კომერციულისა, თეოლისა და სხ.

ფასი **ოცი მანეთიდან** წელიწადში. **სტუდენტი ვარლამ ფერაძე.**
14—13—963


## ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### კავკასიის ასპარეზი.

**თბილისი.** 7 ეკენისთვე კავკ. ჯარის შტაბისაგან. ზღვის ნაპირა რაიონში სროლაა. ოლთისის მიმართულებით ჩვენმა მზვერავებმა გამოდევნეს ოსმალები სოფ. ხრისტასპორტიდან. პასანსკის ხეობაში ენდეკთან ჩვენი მზვერავები მარჯვეთ მოქმედებენ.

მელიზგერტის მიმართულებით ჯალუსთან და რუსტენგადუკთან ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა გაფანტა ოსმალები და ხელში ჩაიგდო დატვირთული ტრანსპორტი. ვახის რაიონში, ანგის დასავლეთით ჩვენს ჯარს შეტაკება აქვს ოსმალებთან. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

8 ეკენისთვე. ზღვის ნაპირა რაიონში სროლაა. მელაზგერთის მიმართულებით სოფლებ მაკაელისა და ეკრაშის რაიონებში შეტაკება უხდებათ მზვერავ ნაწილებს ოსმალებთან. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

### ალმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 7 ეკენისთვე. ოფიციალური. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან. ქალაქ კრემენეცის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო სოფლები საპანოვი და დუნაევი. ამასთანავე ხელში ჩაიგდო დიდძალი ტყვე. ქალაქში ჩრდილო დასავლეთით გერმანელების მირ მოტანილი იერიში სოფლებ ბორშოვკასა და როსტიკზე ჩვენგან უკუგდებულ იქნა.

**შენიშნა.** ავსტრიის პრესა ცდილობს შეარყიოს ნდობა შტაბის ცნობისა, რომელიც გაქვეყნებული იყო მდგომარე წლის 1 სეკტემბრის თარიღით, რომელი ცნობაც ადასტურებდა აურაცხელი ტყვების ხელში ჩაგდებას ბრძოლის უკანასკნელ ხანებში ჩვენი ჯარის მიერ. შტაბი, რომელსაც უკვე ჰქონდა შემთხვევა დაენახებია საზოგადოებისათვის თავისი დამოკიდებულება ცნობების სისწორით გადმოცემის საქმეში, აცხადებს, რომ ტყვეთა რიცხვი, პოლესიას სამხრეთით მდებარე ფრონტზე აგვისტოს უკანასკნელ და სეკტემბრის პირველ რიცხვებში მომხდარ ოპერაციების დროს, აღწევს 70,000 კაცამდი. ეს რიცხვი შესანიშნავათ უნდა გადიდდეს, როცა გამოირკვევა საერთო რიცხვი ტყვეებისა, რომელნიც ხშირად ვარდებოდენ ხოლმე ხელში მტრის უწესრიგოთ უკან დახევისა და ხშირად მომხდარ წვრილ შეტაკებების დროს. წვრილი ჯგუფები ტყვეებისა იმდენათ მოქანცულები არიან, რომ თვით ნორმალური მოძრაობა მათთვის შეუძლებელია. უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რომ მტერი ზემოსტირის რაიონში [illegible] საქონელს უფულოდ კვიტანციის მიუცემლათ.

მტერი გარეკილ იქნა ამ რაიონიდან.

უკან დევნის დროს ჩვენმა ჯარმა ჩააკრო ცეცხლი, რომელიც ეკიდა მდ. სტეირზე გადასასვლელ ხიდს. უკუქცეული მტრის ნაწილი კვლავ შეჯგუფდა წინააღმდეგობის გასაწევათ, მაგრამ ჩვენმა ჯარმა იძულებულ ჰყო გაქცეულიყო და ტყეში შეეფარებიათ თავი. სოფილი კოლკუ ჩვენ დავიკავეთ. მდ. სდუბელისა მდ. სტუბელისა და დუბნო-კრემენცის ხაზის დასავლეთ ფრონტზე ჩვენს ჯარს ბევრ ადგილას მიაქვს იერიში მტერზე და ხელთ იგდებს ბევრ ტყვეს. სერეტას ფრონტზე ბრძოლა გრძელდება.

**შენიშვნა.** სოფ. დიკოვიჩთან, პინსკის საახრეთით, ერთმა ჩვენმა ნახევარმა როტამ მიიახლოვა რა 500 ნაბიჯზე გერმანელების ერთი ბათალიონი, ამოჟლიტა მტრის ორ როტამდი.

კოლკის რაიონში იყო შემთხვევა, როცა ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა იერიში მიიტანა მტრის მავთულის ღობეებთან თხრილებზე, წაართვა ტყვიის მტყორცნელი და 100-მდი ტყვე წამოიყვანა. სოფელ კულკთან, კოლკის ჩრდილოეთით ჩვენი ესკადრონი შეეჭრა ჭაობში, სადაც ავსტრიელების ესკადრონი იყო, წაართვა 500 კაცამდი ტყვე, სამხარეულო, ბარგი და 50 ცხენი, დანარჩენები დაიღუპნენ. ავსტრიელ ტყვეთა სიტყვით, უკანასკნელ ოპერაციების დროს იყო შემთხვევები, რომ რამდენსამე დღის განმავლობაში ერთ ადგილას ვიდექით ნაწილები, რადგანაც შეუძლებელი იყო ტალახიდან არტილერიის გამოტანა. იყო აგრეთვე შემთხვევები, რომ ავსტრიელები გლეხის ტანისამოსში გადაცმულები გადიოდენ მდინარეში ტყვიის მტყორცნელების დასადგმელათ.

8 სექტ. დვინსკის დასავლეთით, სოფელ მუნჩესთან ენერგიული იერიშით გერმანელები თხრილებიდან გავსდევნეთ. დვინსკის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ნოვო-ალექსანდროვსკის ფრონტზე დრისფიანტას ტბასთან ბრძოლა გრ-

ელდება. ამ ფრონტის ზოგიერთ ნაწილს გერმანელების მძიმე არტილერია ყუმბარებს უშენს. უმეტეს შემთხვევაში სულის შემხუთველ გაზიან ყუმბარებს ისვრის. ვილნის აღმოსავლეთ რაიონში მძიმოლა გრძელდება. ბინიაკონი-ლიდას ფრონტზე და მდ. მოლჩადის რაიონში (მდ. შარის აღმოსავლეთით) უმნიშვნელო შეტაკებები ხდება. ტერემნო-პოდგაიცი-ფრონტზე და ლუცკის აღმოსავლეთით მტერი იერიშებს აწარმოებდა, მაგრამ ჩვენგან უკუგდებულ იქნა. მძიმოლა ხანდახან შტიკებამდი მიდიოდა. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 700 ტყვე და 3 ტყვიის მტყორცნელი. ვაშნევეციის ჩრდილო და სავლეთით, როგორც გუშინდელ მოხსენებიდან სჩანს, მტერს იერიში მოქონდა ბერეზოვსკა დაროსტოკზე და, მიუხედავათ ჩვენი ტყვიის მტყორცნელებისა და ზარბაზნების ძლიერი ცეცხლის, მტერმა შესძლო ჩვენს თხრილებამდი მოღწევა და „ურას“ ძახილით შემოტევა. მცირე ხნის შტიკით მძიმოლის შემდეგ, მტერმა უკან დაიხია დიდი ზარალით. ჩვენი ნაწილები გადავიდენ რა ამის შემდეგ კონტრ-იერიშზე და გარს შემოერტყენ რა მტერს ფლანგიდან, ეკვეთენ მას და შეიჭრენ თხრილებში.

ავსტრიელებმა ამ სასწრაფო თავდასხმას ვერ გაუძლეს და გაიქცნენ. ნაწილმა იარაღი დაყარა, ნაწილი კი ამოსწყდა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 10 აფიცერი და 600 ჯარის კაცი. რედუტის ალბის დროს ტლუსტეს სამხრეთ-დასავლეთით ტყვეთ წამოვიყვანეთ 50 კაცი. ვიხელეთ ბევრი პატრონი. მდ. დეურინზე შეტაკების დროს მტერი მდინარის იქით გავრეკეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 5 აფიცერი და 200-მდი ჯარის კაცი.

**კიევი.** 7 ეკენისთვე. უკანასკნელი დღეების მარჯვე ბრძოლამ როვენის მიმართულებით დიდი ცვლილება მოახდინა მცხოვრებთა სულიერ განწყობილებაზე. გაქცეულთა რიცხვი კლებულობს. მრავალი ბრუნდება. კლებულობს აგრეთვე ჩამოსულთა რიცხვი.

ამ უკანასკნელ კვირას 20000 ტყვე ჩამოატარეს ავსტრო-გერმანელ ჯარისკაცებისა და 400 აფიცერი.

ვარშავიდან ჩამოვიდენ გამოქცეულთა ჯგუფი. [illegible] ლებმა ურიცხვი დაატუსაღეს და ვარშავის ციხეები ტყვეებით აივსო. ცხოვრება გაძვირდა.

30 გამოქცეულიდან 11 ჩამოვიდა კიევში დანარჩენი გერმანელებს გზაში მოუკლავთ.

**პარიზი.** ფინანსთა მინისტრ ბარკს დილით სადგურზე შეხვდა წარმომადგენელი ფინანსთა და გარეშე საქმეთა სამინისტროსი.

**თბილისი.** გენ. ადიუტ. გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა მიიღო ხელმწიფე იმპერატორისაგან შემდეგი შინაარსის დეპეში: „მოგანდობთ თქვენ, გრაფო, გარდასცეთ თბილისის ქალაქის საბჭოს ჩემი მადლობა ჩემდამი კეთილი გრძნობების გამოთქმისათვის. **ნიკოლოზი.**

ეს დეპეშა გამოიწვია გრაფ-ვორონცოვ-დაშკოვის შემდეგი შინაარსის დეპეშამ: თქვენო დიდებულებავ, თბილისის ქალაქის საბჭო მთხოვს გადმოვსცე თქვენს უდიდებულესობას გრძნობა მათი უერთგულესობისა, რომ ძველი ქალაქის მცხოვრებნი სულიერი აღტაცებით ეგებებიან თქვენის იმპერატორობითი უმაღლესობის სურვილის გამოცხადებას შესახებ თქვენ მიერ წინამძღოლობის მიღებისა მთელ შეიარაღებულ ძალთა, რომელიც სამხედრო ასპარეზზე იმყოფებიან, უცქერიან რა სიამაყითა და იმედით გმირ ჯარსა და ფლოტს თქვენი უდიდებულებისას. მთელი მხარე უნდა შეაერთოს დაუღალავმა მუშაობამ ჯარის დასახმარებლათ, რომ მოხდეს მტკიცე და განუყოფელი ერთობა ხალხისა და მთავრობისა და მიეცეს საჭირო სიძლიერე სახელმწიფოს ძლიერი და შეუპოვარი მტრის დასამარცხებლათ. თბილისის ქალაქის საბჭო ბედავს უქვეშევრდომილესათ - გაუწყოს თავისი აზრი, რომ ასეთი ერთობა განხორციელება მხოლოთ დაარსებით ისეთი მთავრობისა, რომელიც ძლიერია საზოგადოების ნდობითა და ერთსულოვნებით. თბილისის ქალაქის საბჭო თქვენი უდიდებულესობის ტერფის წინაშე განართხობს თავის უქვეშევრდომილეს გრძნობას და მიმართავს ლოცვით ზენაარს თქვენი გმირი ჯარის გამარჯვების მოსავლენათ.

ვალათ ვრაცხ ზემო აღნიშნული განვართხო თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ყოვლად მოწყალე კეთილ განსახილველათ. გენ. ადიუტ. გრაფ ვორონცოვ-**დაშკოვი.**

**პარიზი.** 7 სექტემბერი ოფიციალური. ინგლისის ფლოტმა გერმანელების სიმაგრეს ყუმბარები დაუშინა ბელგიის ნაპირებზე. ჩვენმა მძიმე არტილერიამ, ნიუპოლიის [illegible] დაბახაკებულმა, მასთან ერთად მონაწილეობა მიიღო და სროლა აუტეხა ნაპირების ბატარეიას.

არტავას ფრონტზე მტრის არტილერია სუსტდება. ჩვენმა მძიმე არტილერიამ განაგრძო სროლა სიმაგრეებზე.

რუას მიდამოში საარტილერიო სროლა იყო. ბრძოლა ხდებოდა ხელით სასროლ ყუმბარებითაც არხში ენისა და არნის შესართავთან ჩვენ შევინარჩუნეთ ხიდის სიმაგრე, მიუხედავათ მტრის სამი იერიშისა.

ავფეთქეთ მტრის 4 სამხედრო საწყობი

**ბერლინი** 6 სექტემბერი. ბელგიადან იუწყებიან, რომ ღამემ მშვიდობით ჩაიარა.

დილას მტერმა ძლიერი ცეცხლი გააჩაღა, განსაკუთრებით გროსტნოგროფის ფერმის წინაალმდეგ.

ჩვენი არტილერია ენერგიულათ უპასუხებდა და გაფანტა იგი კნოკის აღმოსავლეთ ფრონტისკენ.

**ბარზი.** 8 სექტემბერი ოფიციალური. არასის ჩრდილოეთით და ნულეტის აღმოსავლეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

რუას სამხრეთით ხშირი თოფის სროლა იყო, რომელსაც მოჰყვა არტილერიის ბრძოლა, და თხრილებიდან სროლა ხელით სასროლ გრანატეთა და ყუმბარებით.

ჩვენ გავმაგრდით ენმარნსკის არხის მარჯვენა ნაპირზე.

მტერი შეეცადა კონტრ-იერიშის მიტანეს, მაგრამ იძულებული იყო უკან დაეხია, დასტოვა ოცი მკვდარი და მრავალი გრანატი.

შამპანში გერმანიის არტილერიას ძლიერი სროლა აუტეხეთ.

არგონებში ღამემ მშვიდათ ჩაიარა. მაასის მარჯვენა ნაპირზე და ლოტორინგიის ფრონტზე ჩვენ მარჯვეთ აუტეხეთ სროლა არტილერიის ცეცხლით გერმანიის სიმაგრეებს, რაოდენიმე პუნკტზე გავფანტეთ ჯგუფი მუშებია ბარგითა და რუსეთის ვოგეზებში ჩვენ სურსათით საკმარისათ წინ წავიწიეთ.

**ლონდონი.** 7 სექტემბერი. ფინანსთა მინისტრი ბარგი პარიზში რჩება ცოტა ხნით, რადგან უმთავრესი კონკურენცია შესდგება ლონდონში. მინისტრი დაესწრო არა ოფიციალურ საუზმეს საელჩოში. ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა რიბოსთან, რის შემდეგაც ვიზიტები გადაუხადა საფრანგეთის მთავრობის წევრებს და მიიღო რაოდენიმე პრესის წარმომადგენელი.

**ციურიხი.** 7 სექტემბერი. ავსტრიის ელჩმა დუმბამ აღო ბილეთი გემ „[illegible]ტემდამ“-ზე, რომელიც გადის ზღვაზე.

**ათინა.** სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან რომ ინგლისელებს უკანასკნელ გამარჯვების შემდეგ იერიშები მიაქვთ გალიპოლის ნახევარ-კუნძულზე, რასაც მიზნათ აქვს გარტაფერტის მიდამოებში უმთავრესი სიმაღლეების დაპერა. ფიქრობენ, თუ რომ ამ სიმაღლეებს დაიპერენ მოკავშირეები, რომელიც ზოგიერთს ალაგს ძლიერ გამაგრებულია, მაშინ იგინი ადვილათ შეიპრებმან დარდანელშიო.

## ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### საქმის შეფოგრუნების იმედი.

ჟურნალ „რუს. ინვალიდის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს: მტრის მთელი სამხრეთის ფრთა მდ. პრიპიატიდან ვიდრე დნესტრამდე უკან დავაბრუნეთ ეს ნაბიპოლესიეში, ვოლინში და აღმოსავლეთ გალიციაში მტერს შიზეზს აძლევს, რომ თავისი ძალები ან სულ გაიყვანოს იქიდან, ანდა კიდევ უფრო გაადიდოს, რაც მის მთავარ ძალებს შეასუსტებს. პრიაპიატსა და ნემანს შუა უკანასკნელ რაზმების გაცხარებული ბრძოლა გრძელდება. რუსეთის ჩრდილოეთის ფრონტზე, ვიდრე რიგის ყურემდე, ბრძოლა რუსეთის სასარგებლოთ მიმდინარეობს. ვილნას გზებზე ბევრ კუთხეში და რაიონში მდ. ვილიაზე გადასვლის დროს მტრის ჯარები რუსებმა სასტიკათ დაამარცხეს და უკუაგდეს. ვერც დვინსკის გზებზე მოტანილი მტრის იერიშები ნაყოფიერი გამოდგა. ერთი სიტყვით ჩრდილოეთის ფრონტზე მოტანილ მტრის იერიშებს საკადრისი პასუხი მისცა რუსის ჯარმა, ასე, რომ როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით, გამარჯვების სასწორი ისევ რუსებისაკენ იხრება“.

### კიევი დაწყნარდა, მაგრამ ისევ შიშია.

კიევიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ კიევის მცხოვრებნი ამ ბოლო დღეებში დაწყნარდენ. ქალაქი ირგვლივ შორი ახლო დიდი სიმაგრეები ააგეს. სასწავლებლების გადატანას განაგრძნობენ. კიევ-პეჩორის მონასტრის განძეულობა ყუთებშია ჩალაგებული და მდ. დნეპრის საშუალებით უნდათ გადაიტანონ.

სოფლებში ძეგლებსაც აძრობენ და გადააქვთ.

### ომი და ზავი.

ამ უკანასკნელ დღეებში გაზეთებში [illegible] ქვეყნეს ვილჰელმის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ ვილსონისადმი წარდგენილი ზავის პირობები, რომელიც შემდეგს შეიცავს:

1) პოლონეთი უნდა გამოცხადდეს ცალკე სახელმწიფოთ, რომელიც რუსეთსა და გერმანიის შუა „ბუფერის“ როლს შეასრულებს.

2) რუსეთმა უნდა ღაუთმოს გერმანიას კურლიანდიის მხარე.

3) ფინლიანდიას უნდა მიენიჭოს სრული ავტონომია.

4) სერბია უნდა გადაწყდეს ულგარეთსა და ავსტრიის [illegible] სერბიის მცირე ზოგი ტერიტორიალური ნაწილი უნდა დაეთმოს საბერძნეთს.

5) ბელგიას დასტოვებს გერმანია მხოლოთ სამაგიეროთ მის ახალშენს „კონგოს“ მიიღებს.

6) ჩრდილო საფრანგეთის დატოვების სამაგიეროთ გერმანიამ საფრანგეთის კუთვნილი აფრიკის ახალშენები უნდა მიიღოს.

7) გერმანიას ყველა მისი კალონიები უკანვე უნდა დაუბრუნონ.

8) ზღვაზე მიმოსვლა მოძრაობს თავისუფლება და კრძო საკუთრება საერთაშორისო ხელშეკრულებათ უნდა უზრუნველყოფილ იქმნას.

9) ებრაელთა სრულუფლებიანობა ყველა ქვეყნებში უნდა გამოცხადდეს.

## ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### რუსეთი.

#### სახელ. სათათბიროს დათხოვის გამო.

—სათათბიროს უკანასკნელი სხდომის დაშლის შემდეგ იმ დღესვე კერძო თათბირი გამართეს. თათბირზე დეპ. გოლენკინმა თავმჯდომარეს, როძიანკოს წინადადება მისცა, რომ ხელმწიფე ინახულოს და მოახსენოს მას, თუ რა მიზეზით სცნობენ საჭიროთ დეპუტატები სათათბიროს გაგძელებას, ამაზე დეპ. კერენსკი უპასუხებს და დეპუტატებს, განურჩევლათ ფრაქციისა, მოუწოდებს, რომ მათ შველა და ხსნა რუსეთის ხალხში ეძიონ. ასეთ მოწოდების შემდეგ ტრუდოვიკები და ესდეკები თათბირს სტოვებენ. მემარჯვენეთა ლიდერის დეპ. ზამისლოვსკის სიტყვით სათათბიროს დათხოვა პროგრეესიული „ბლოკის“ ბრალია, მან რეფორმები უდროვო დროს მოითხოვაო. დასასრულ როძიანკომ განაცხადა, რომ ის ხელმწიფეს აუდიენციას გამოსთხოვს და მათ უდიდებულესობას ყველაფერს მოახსენებს. თათბირმა დაადგინა, რომ ჯერჯერობით არავითარი პროტესტი არ განაცხადონ და კომისიებიდან არ გამოვიდენ. ფრაქციათა უმრავლესობამ გადასწყვიტა პეტროგრადიდან არ გავიდეს და მომენტის ვითარების გამორკვევას დაუცადოს. (რ. ვ.)

## ქართველი გრიგორიანელები თფილისში.

მრავალნი გაკვირვებით იკითხვენ ხოლმე ქართველების ადგილ ქალაქ თფილისში, ქართველების რიცხვი დღეს ასე რამ შეამცირაო? ზოგნი იმასაც ამბობენ, რომ ქართველი ტომის რიცხვი თფილისში ყოველთვის ცოტა იყოვო. მათ ყოველთვის სომხები სჭარბობდენენო. ამის მაგალითებს თვით XVII საუკუნის დამდეგიდანაც უჩვენებენ, მაგრამ ეს არ არის მართალი. ეს მოგონილია სხვა და სხვა მანქანებით. ამას ახსნის შემდეგი გარემოება: XVII საუკუნიდან 1730 წლამდე თფილისში სჩანს სომეხთა სულ ოთხი ეკლესია, ქართველების კი თერთმეტი. თფილისში სომეხთა რიცხვმა გამრავლება იწყო 1770 წ., ე. ი. იმ დღიდან, რაც მეფე ერეკლე გამეფდა და მეფობა იწყო ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე.

შეუძლებლად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ თფილისში, ამ საქართველოს ერის ადგილ ქალაქში, არსებობდა სამეფო ტახტი, განაგებდა მეფე, მას ჰქონდა სამეფო, ჰყავდა მორიგი მხედრობა, მხედრობას ჰქონდა ოიფხანები, ასხამდენ და აკეთებდენ ზარბაზნებს, ჰქონდა ზარაფხანა, იჭრებოდა ვერცხლის ფული, ოქროსი და სპილენძის. იყო მოქალაქური და საქალაქო წესები, იყო დუქან-ბაზარი, ვაჭრობა, ხელოსნობა, სოვდაგრობა, სხვა და სხვა სახელოსნო ქარხნები, ჰქონდა საერო და სასულიერო სასწავლებლები, ჰყავდა სამღვდელოება, თფილისში იჯდა თვით პატრიარქი—კათოლიკოზი, ჰყავდა ძლიერი თავად-აზნაურობა და ყველა ამის დროს კი თფილისში ქართველი ერის რიცხვის საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ ვითომც მთელი თფილისი სომხებით იყო სავსე, ვითომ თფილისში ქართველების რიცხვი სულ არ იყო, ვითომც თვით სამეფო გამგეობაც კი ყოველთვის სომხის (?) კაცებით იყო სავსე. ვითომც ქართველთ სამეფო საქმეებსაც ყოველთვის ესენი უდგნენ სათავეში განაგებდენ და თვით სამეფო მდივან-მსაჯულნიც ესენი იყვნენ.

ეს სულ ტყუილები არის, მოგონებული. თფილისი ყოველთვის ქართველი ერით იყო სავსე, ესენი აღემატებოდენ ყველაზე უმეტესად. მთელი თფილისის უმთავრეს ძალას ქართველები წარმოადგენდნენ. ამას ასაბუთებს, როგორც სამეფო სიგელ-გუჯრები, ისევე სხვა და სხვა ძველი წიგნები, სახელმწიფო დავთრები და მრავალნიც სხვა ასეთი ღირს შესანიშნავი ცნობები, რაც უკვე დღეს შეკრებილი არის და გამოქვეყნებული ქართველი ისტორიის ასპარეზზე. აქ ახლა საკითხად ის არის გამხდარი, თუ მართლა ეს ასე იყო, მაშინ ეს როგორ მოხდა, რომ დღეს, ანუ XIX საუკუნის დამდეგიდამ, თფილისში ქართველთა რიცხვი ისე მოისპო, ისე გაქრა, რომ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების დროს, თფილისში, მთლად სომხობა აღმოჩნდა და თითქმის სულ ესენი იყვნენ მცხოვრებლებათ. ამ გარემოებას დაეხმარა ბევრნაირი პირობები და ნამეტურ შემდეგი გარემოება:

ქართველი მეფენი იყვნენ ქრისტიანები, იგინი თავის სჯულს გარეშე, სხვა ქრისტიანთ სჯულსაც ისევე უმზერდნენ, როგორც თავის სჯულს, ოღონდ ქრისტიანი იყავ და მის მერე, რაც გინდა იმ სჯულისა იყავით. ამიტომაც იყო, რომ ესენი ქართველებს ნებას აძლევდენ, როგორც კათოლიკობაზე, ისე გრიგორიანობაზე გადასვლისას. კათოლიკობას ქართველთაგან თუ უკავშირდებოდა ოცი კაცი, გრიგორიანობაზე გადადიოდა ოთხასი და ხუთასი. ამის მიზეზი ის იყო, რომ კათოლიკობას ქართველნი უფრო შორით იცნობდენ და მათ სომეხთაგან ბაყაყ ჭამიებიც ეწოდებოდათ და გრიგორიანობა კი იყო ქართველთა მეზობელი ერის სჯული. ამას გარდა, თვით ქართველ ხალხსაც რომელთა რიცხვიც საქართველოში ძველადვე არსებობდა და საშუალო საუკუნიდან ხომ ქართველები გრიგორიანობას აშკარად უკავშირდებოდნენ. ამის მაგალითები ცხადია და ამასვე ასაბუთებს შემდეგი გარემოება:

1630 წ. გოაში, ქართველი პატრიარქი ამბროზიო, რომის პაპს და მის კონგრეგაციას ასე სწერს: „ქართველ გლეხებს მრავლად ყიდულობენ სომეხთა მღვდელნი და გადაჰყავთ თავის სჯულზე, ჩვენ რომ შეძლება გვქონდეს, ჩვენც მაშინ მთელ სოფლების გლეხებს ვიყიდით და გადმოვიყვანთ კათოლიკობაზე-ო“. ესა და ამგვარი ცნობები პატრ მიხეილ თამარაშვილს თავის ისტორიაში მრავლად მოჰყავს და, ვგონებ, რომ ეს საეჭვო არ არის.

პირველათ ეს გარემოება უწყობდა საქართველოში გრიგორიანთა გამრავლების საქმეს ხელს და მეორე ისიც, რომ საქართველოში, თუმცა სომხის სამღვდელოება იყო ცოტა და სუსტი, მაგრამ მის ნაცვლად იგი იყო ძლიერი და ეჩქიაძინის სინოდისაგან კარგათ დაჯილდოებული და შეძლებულნი, რითაც იგინი არა თუ ქართველ გლეხებს ყიდულობდენ მათ მებატონეთაგან, არამედ იგინი ამ შეძლებით ებრძოდნენ თვით კათოლიკის სამღვდელოებასაც და მათ მძლავრათაც უშლიდენ ხელს.

ამას გარდა, მხნე სომხის სამღვდელოება ყოველთვის სცდილობდა, ყოველ ომიანობის შემდეგ, სპარსეთსა და ოსმალეთში კაცებს გაგზავნიდა და იქიდან ქართველთა ტყვეებს იხსნიდა, მოჰყავდათ საქართველოში და გრიგორიანობაზე გადაყავდათ. ამისივე მაგალითი არის ახალციხის კათოლიკების საქმე, სადაც მათი სამღვდელოება ძველადანვე იხსნიდა ხოლმე ლეკთა და ოსმალთაგან ქართველ ტყვეებს და მერე ესენი გადაჰყავდათ თავის სჯულზე. ასე და ამგვარად სცილდებოდნენ ქართველნი თავის გვარტომობის კერას ენას, ისტორიასა და სხვას. ამის ეჭვს ჩვენ ვერავინ დაგვწამებს, რადგანაც თვით დღევანდელი მაგალითებიც ამას ამტკიცებს. თუ ქართველთაგან მრავლად გადასულან გრიგორიანობაზე ნახევარ საქართველოს ერი მაინც დაუკავშირდა თვით თავის მოსისხლე მუსულმანთა ტომის სჯულის—ისლამს. ესეც ხომ ჭეშმარიტება არის და მთელი სამცხე—საათაბაგოს ქართველობა დღეს ისლამს აღიარებს. ასევეა სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა საქმეც.

ქართველები რომ გრიგორიანობაზე ადვილად გადადიოდნენ, ამას აჩვენებს შემდეგი გარემოება: შაჰაბაზმა დიდი მოურავის ოსტატობით საქართველოდამ გადასახლა 120 ათასი ქართველი. ამათი უმეტესი ნაწილი გასწყდა გზაში, ვინც გადარჩა, იგინი ყველა ისლამს დაუკავშირდეს ძალით, ზოგნი ამათგან კი იქვე სპარსეთში გრიგორიანობას დაკავშირებიან, რადგანაც მაშინ იქ სომხის სჯულის ხალხიც ყოფილა და მათ სამღვდელოებასაც თავისი შეძლება ჰქონია. ასეთი ქართველები ვლადიმერ აღნიაშვილსაც უნახავს სპარსეთში ყოფნის დროს. აქ მთელი სოფლის მცხოვრებნი არიან, იგინი პირდაპირ ქართველებს ჰგვანან, პირჯვარსაც [illegible] ქართულათ იწერენ, მაგალითად, [illegible] ხელი ქვეით მიაქვთ და [illegible] და არა მარ[illegible]

[illegible]

[illegible] ომიანობა [illegible] ერისა დიდათ უწყობდ[illegible] ელოში ქართველთაგან გრ[illegible] ვრცელებას და შემდეგ [illegible]

[illegible]

[illegible] ... [illegible] ... [illegible]

[illegible]

[illegible] ... [illegible] ... [illegible]

[illegible]

[illegible] ... [illegible] ...

„ნოვოევრემიას“ გადმოცემით სათათბიროს ცენტრის ჯგუფებმა და ორგრესისტებმა გადაწყვიტეს, რომ პეტროგადიდან არ წავიდენ. მემარჯვენეებმა და ნაციონალისტებმა დაადგინეს, რომ ფრაქციის წევრთა რიცხვის ნახევარი მაინც დარჩეს პეტროგრადში და ყოველ კვირეულათ თათბირი გამართონ. (ნ. ვ.)

— სათათბიროს დათხოვის გამო როგოც მოსკოვის გრადონაჩალნიკის განცხადებიდან სჩანს, 4 სექტემბერს მოსკოვის მუშებმა სამი დღის გაფიცვა გამართეს. მოსკოვის გრადონაჩალნიკი აცხადებს, რომ 4 სექტემბერს კერძო საწარმოვო დაწესებულებებში და სამწუხაროთ ხაზინის ზოგ ქარხნებშიაც, სადაც სამხედრო იარაღს ამზადებენ, მუშების ერთმა ნაწილმა მუშაობა შეწყვიტა. ამიტომ ვაცხადებო, ამბობს გრადონაჩალნიკი, რომ ყოველ გვარი „ზაბასტოკვა“ სამშობლოს ღალატია და სახელმწიფო წესწყობილობის ნგრევა—რღვევაა; ამისთვის იგი უკიდურესი ზომებით იქნება შეწყვეტილიო.

— მოსკოვის ქალაქის თავმა, ჩელნოკოვმა გაფიცულ მუშებს მოწოდებით მიმართა, რომ გაფიცვა შეაჩერონ და მუშაობას შეუდგენ.

— მოსკოვის მიტროპოლიტმა ღვთივ კურთხეულ ქალაქის მოსკოვის მცხოვრებთ სიტყვით მიმართა და მოუწოდა, რომ ეკლესიისა და ტახტის გარშემო შემოკრბენ და „კრამოლას“ არ შეუშინდენ. ვინაიდან „კრამოლას“ არც ძალა შესწევს და არც „სიმართლე მიუძღვისო.

— მოსკოვის ქალაქის საბჭო საჩქაროთ შეიკრიბა, რომ ტრამვაის მუშების გაფიცვის შესახებ ზომები შეიმუშაოს, ჩელნოკოვმა განაცხადა, რომ მუშების ცნობით გაფიცვა სათათბიროს დათხოვის გამო არის მოწყობილი და გაგრძელდება მხოლოთ 7 სექტემბრამდისო. საჯარო ღია კრებაზე ასტროვი ამბობს: ჩვენ კარგათ გვესმის, თუ რამ მიიყვანა ტრამვაის მუშები გაფიცვამდე, ჩვენ მუშების პატრიოტობა გვრწამს, მაგრამ ის ფორმა, რომლითაც ისინი ამ გრძნობას ხატავენ, დასაშვები არაა. თუ არმიას მის ზურგს უკან მდგომ საზოგადოების შესახებ ეპვი რამ დაებადა, რომ იგი შეირყა და მას ზურგს ვეღარ გაუმაგრებს, მაშინ მშვიდობით ჩვენო იმედებო და ოცნებავ!“ საბჭომ რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც ის აღიარებს, რომ ბრძოლის ველზე გამარჯვება მხოლოთ ქვეყნის ყველა ძალების გაერთიანებით შეიძლება, ამისთვის საჭიროა „საკანონმდებლო პალატის, სათათბიროს სხდომების გაგრძელება და ისეთი მთავრობის შედგენა. რომელსაც ქვეყანა ენდობა. საბჭო თავის რეზოლიუციას მუშებისადმი მოწოდებით ამთავრებს. კრების შემდეგ ქალაქის თავი ჩელნოკოვი საელექტროენო სადგურზე გაეშურა, რო იქ მუშებს საბჭოს რეზოლიუცია გააცნოს და განუმარტოს. (კ. ს).

— საჩქარო კრება გამართა აგრეთვე მოსკოვის საგუბერნიო ერობამ, რომლის უმრავლესობამ მოსკოვის ზემოხსენებულ რეზოლიუციას მხარი დაუჭირა და სურვილი გამოთქვა, რომ სათათბიროს დათხოვა, რაც შეიძლება, მოკლე ვადით მოხდეს. 56—დან რვა წევრი ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ წავიდა. ამასთან გრაფმა შერემეტევმა და თავადებმა გაარინმა, ობოლენსკიმ და სხვებმა ცალკე მოსაზრება წარმოადგინეს, რომლითაც აცხადებენ, რომ ისინი რეზოლიუციის პირველ ნაწილს, რომელიც მუშების გაფიცვას შეეხება, სრულიათ ეთანხმებიან, ხოლო მეორე ნაწილს, რომელიც მთავრობის გამოცვლას ეხება უარყოფენ, ვინაიდან ასეთი მოითხოვნა სახიფათოთ მიაჩნიათ.

— კადეტების ცენტრალურ კომიტეტის მოსკოვის განყოფილებამ დაადგინა, რომ მოუწოდონ რუსეთის მკვდრთ, რომ თავი შეიკავონ; პარტია მხოლოთ სურვილს გამოთქვამს, რომ სათათბიროს სხდომები დაუყონებლივ იქმნას განახლებული. (კ. ს.)

## ქუთაისი, 10 სექტემბერი.

სახელმწიფო სათათფიროს დათხოვნა ამ ჟამად ყველაზედ დიდი საკითხია რუსეთში, რომლის შესახებაც ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ. სატახტო ქალაქებიდან მოსული გაზეთები სავსეა ცნობებით, რომლებიც ასე თუ ისე შუქსა ჰფენენ ფაქტს სათათბიროს დათხოვნისას. შემოკლებულ ცნობათა საშუალებით იმასაც ვსტყობილობთ ამ გაზეთებიდან, რომ სათათბიროს დათხოვნამ აალაპარაკა, არა მარტო პრესსა და დეპუტატები. სათათბიროს დათხოვნამ, როგორც უკვე ვსწერდით, გამოძრული ფართო საზოგადოებაშიც ჰპოვა და გაზეთები უკვე სწერენ ზოგიერთ ადგილებში

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა დეპუტატების პოზიცია მიმდინარე ამბების მიმართ. თავის კრებდოს გამოცხადება ამ ამბების შესახებ სათათბიროს ტრიბუნიდან მათ ვეღარ შესძლეს, რადგანაც უმაღლეს უქაზის წაკითხვის შემდეგ-მათ ამის უფლება აღარ ჰქონდათ, მაგრამ ფრაქციულ კრებებზედ, კერძო საღბარში და იმ საერთო კერძო კრებაზედ დეპუტატებისა, რომელიც მოხდა იმ წამსვე უქაზის წაკითხვის შემდეგ, აშკარად გამოირკვა მათი მიმართულება. განზრახულ და აწ უკვე ჩაფუჩულ ბლოკის თვალსაჩინო დეპუტატებმა უკვე გამოაშკარავეს თავისი მიმართულება, დეპუტატ როდიჩევის სიტყვით რომ ვსთქვათ: ყოველივე ექსცესი, ყოველი უხეში პასუხი სათათბიროს დათხოვნაზედ, იქნებოდა ის, რაც ასე სურთ ძველს რეჟიმის დამცველებსო“. ამ აზრის მარტო დეპუტატი როდიჩევი არ არის. ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა არა ერთი და ორი სახელი დეპუტატებისა რომელიც ზემოაღნიშნულ აზრს უფრო აღრმავებენ და უფრო საგსებით იზიარებენ. ამ რიგად უმრავლესობის აზრი დეპუტატთა შორის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სათათბიროს, იმ ელემენტებს, რომლებიც უამისოდაც წინააღმდეგნი არიან ყველანაირ ექსცესებისა ისეთია, რომ რუსეთი დამშვიდებით უნდა შეხვდეს დათხოვნას. აქ ძალაუნებურათ გაგონდება დეპუტატ მაკლაკოვის სიტყვა „ქუჩის დახმარების“ შესახებ. ტრაბახობა ასეთის განცხადებისა თავისთავად ნათელი ხდება, მით უმეტეს მაშინ, როცა ბლოკის წევრები, რომელთაც უნდა მიეღოთ ეს ნაქები „დახმარება“ ქუჩიდან, ტუჩზედ თითს იფარებენ. ექსცესით პასუხი სათათბიროს დათხოვნაზედ, ცხადია, ერთად ერთი საშუალება არ არის საქმის გამოსასწორებლათ და ამ მხრივ დეპუტატები იქნება, მართალნიც არიან. მაგრამ საინტერესო [illegible] დეპუტატებ[illegible] თითის [illegible] რომელ[illegible] რობასაც [illegible]

(შემდეგი [illegible]

[illegible] ბიროს ცენტრის ჯგუფებმა და ორგრესისტებმა გადაწყვიტეს, რომ პეტროგადიდან არ წავიდენ. მემარჯვენეებმა და ნაციონალისტებმა დაადგინეს, რომ ფრაქციის წევრთა რიცხვის ნახევარი მაინც დარჩეს პეტროგრადში და ყოველ კვირეულათ თათბირი გამართონ. (ნ. ვ.)

— სათათბიროს დათხოვის გამო როგოც მოსკოვის გრადონაჩალნიკის განცხადებიდან სჩანს, 4 სექტემბერს მოსკოვის მუშებმა სამი დღის გაფიცვა გამართეს. მოსკოვის გრადონაჩალნიკი აცხადებს, რომ 4 სექტემბერს კერძო საწარმოვო დაწესებულებებში და სამწუხაროთ ხაზინის ზოგ ქარხნებშიაც, სადაც სამხედრო იარაღს ამზადებენ, მუშების ერთმა ნაწილმა მუშაობა შეწყვიტა. ამიტომ ვაცხადებო, ამბობს გრადონაჩალნიკი, რომ ყოველ გვარი „ზაბასტოკვა“ სამშობლოს ღალატია და სახელმწიფო წესწყობილობის ნგრევა—რღვევაა; ამისთვის იგი უკიდურესი ზომებით იქნება შეწყვეტილიო.

— მოსკოვის ქალაქის თავმა, ჩელნოკოვმა გაფიცულ მუშებს მოწოდებით მიმართა, რომ გაფიცვა შეაჩერონ და მუშაობას შეუდგენ.

— მოსკოვის მიტროპოლიტმა ღვთივ კურთხეულ ქალაქის მოსკოვის მცხოვრებთ სიტყვით მიმართა და მოუწოდა, რომ ეკლესიისა და ტახტის გარშემო შემოკრბენ და „კრამოლას“ არ შეუშინდენ. ვინაიდან „კრამოლას“ არც ძალა შესწევს და არც „სიმართლე მიუძღვისო.

— მოსკოვის ქალაქის საბჭო საჩქაროთ შეიკრიბა, რომ ტრამვაის მუშების გაფიცვის შესახებ ზომები შეიმუშაოს, ჩელნოკოვმა განაცხადა, რომ მუშების ცნობით გაფიცვა სათათბიროს დათხოვის გამო არის მოწყობილი და გაგრძელდება მხოლოთ 7 სექტემბრამდისო. საჯარო ღია კრებაზე ასტროვი ამბობს: ჩვენ კარგათ გვესმის, თუ რამ მიიყვანა ტრამვაის მუშები გაფიცვამდე, ჩვენ მუშების პატრიოტობა გვრწამს, მაგრამ ის ფორმა, რომლითაც ისინი ამ გრძნობას ხატავენ, დასაშვები არაა. თუ არმიას მის ზურგს უკან მდგომ საზოგადოების შესახებ ეპვი რამ დაებადა, რომ იგი შეირყა და მას ზურგს ვეღარ გაუმაგრებს, მაშინ მშვიდობით ჩვენო იმედებო და ოცნებავ!“ საბჭომ რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც ის აღიარებს, რომ ბრძოლის ველზე გამარჯვება მხოლოთ ქვეყნის ყველა ძალების გაერთიანებით შეიძლება, ამისთვის საჭიროა „საკანონმდებლო პალატის, სათათბიროს სხდომების გაგრძელება და ისეთი მთავრობის შედ-

---

რიანთა სჯულის მქონ კაცს სულ არ სდევნიდენ, ხმასაც არ სცემდენ და ყოველივე ასეთი უპირატესობა კი იყო მთავარი მიზეზი ქართველების გრიგორიანობაზე მრავლათ გადასვლისა და დაკავშირების.

აი ეს არის პირველი გარემოება მის, თუ საქართველოში, ქართველი გრიგორიანები როგორ მრავლდებოდნენ, მრავლდებოდნენ არა მარტო ქალაქებში, არამედ თვით სოფლებშიაც კი, როგორც, მაგალითად, დღეს მთელი ქართლ-კახეთის სოფლები სავსე არის ისეთი ქართველებით, რომელნიც დღეს გრიგორიანობას აღიარებენ, მოდგმითა და შთამომავლობით კი სომხათ ითვლებიან.

ახლა ჩვენ შევეხებით იმასაც, თუ თფილისში ქართველთა რიცხვი რა გარემოებამ შეამცირა XIX საუკუნის ბოლოს. როგორც ოსმალეთის სახელმწიფო სდევნიდა ქართველ გვარს, ისევე სდევნიდა სპარსეთისაც. ორივე ამათ სიტყვა ქართველი, ანუ „გურჯი“ კაცის მჭამლებად მიაჩნდათ, დაუდეგრად, მოუსვენრად, ურჩებათ, ამიტომაც ყოველთვის და ყოველგან ქართველი გვარი—ნაცია სასტიკად იდევნებოდა. ოსმალ-სპარსეთი ყველას ურიგდებოდენ გარდა ქართველებისა. ამათი ყოველთვის შიში ქონდათ, ამიტომაც ქართველებს უფრო სდევნიდენ, რომ ამ საშვალებით მათში მოესპოთ ის გმირული სული, რომელსაც იგინი იჩენდნენ მათ წინააღმდეგ. ასეთ პოლიტიკას ადგენ ოსმალ—სპარსნი, იგინი ამით, მართლაც, ქართველ გვარს დიდათ ვნებდნენ. იგინი იტყოდნენ ხოლმე: ვინც გინდა იყავ, სომეხი, ბერძენი, აისორი, ქურთი, არაბი! და სხვა ოღონდ „გურჯი“ [illegible] იქნებიო. გურჯის გაგონება მა[illegible] ზარ დამცემი მეხი იყო. [illegible]

## რუსეთის პრესა.

სათათბიროს დათხოვნის შესახებ „რეჩი“ სწერს:

„ისღა დაგვრჩენია, რომ საზოგადოებას თავშეკავებისადმი მოუწოდოთ. ცხადია, პასუხისმგებლობა, საზოგადოებას არ უნდა დაეწვეს თავზედ. ყველა იმის შემდეგ, რაც იღონეს სათათბიროს ბლოკის მომხრეებმა, რათა საზოგადოებისა და მთავრობის თანამშრომლობა განეხორციელებინათ, აღარავინ არ დასდებს მათ ბრალს, რომ წინააღმდეგ მათის სურვილისა, ეს თანამშრომლობა შეუძლებელი გახდა“.

„დენი“ სწერს:

„თავის დროზედ სათათბიროს გახსნისგან ხალხის ფართო მასსა სიმართლის გამომეღვნებას მოელოდა, ნაწილი ამ სიმართლისა ხალხმა უკვე გაიგო და ჩვენ ვნახეთ, როგორ გამგრილებელ სიოთ მოეფინა ეს საზოგადოებრივ ატმოსფერას, „რომელმაც კი არ დასწია, არამედ უფრო ასწია გრძნობა სამშობლოსი, გაახვია რა ამ გრძნობაში ახალი და ძლიერი იმპულსები. იქნემ ვისმეს პარადოქსათ მოეჩვენოს, მაგრამ სათათბიროს დათხოვნამ უფრო მეტი წაართვა ქვეყანას ვიდრე მისმა არსებობამ შესძინა ვინაიდგან, თუ ხალხი სავსებით ვერ ხედავდა სათათბიროში თავის სურვილების და იმედების გამოსახულებას მისი დათხოვნა მხოლოდ მის უეცრივ ლიკვიდაციას მოასწავებს. მხარე უკმაყოფილო იყო სათათბიროთი, მაგრამ ის მაინც მისი სათათბირო იყო, მისი ორგანო ცენტრი მის მისწრაფებისა და სურვილების გამოსახულებისა“.

„ბირჟევია ვედომოსტებში“ მხოლოდ სათაურია „სათათბიროს დათხოვნა“, წერილის მაგივრად კი თეთრი ადგილი.

„რუსსკია ვედომოსტი“ მეთაურში სწერს:

„სათათბიროს მუშაობა შესწყდა წინააღმდეგ მისი სურვილისა... მთავრობა ბ. გორემიკინის პირით სათათბიროს მუშაობას ამ ჟამად უსარგებლოთ სთვლის და თავის თავზედ ღებულობს გამარჯვების მოწყობას იმ მსოფლიო ომში, რომლისგან დამოკიდებული ბედი რუსეთისა. ამასთანავე ერთად, იგი პასუხის ეგებლობასაც ღებულობს ამ გადაწყვეტილების ყველა შედეგების გამო“.

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

8 სექტემბერს გელათის მონასტერში, ამავე მონასტრის დღესასწაული დღეს მწირველი იყო მთელი კრებულით ყ-დ სამღვდ გიორგი.

✦ ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, ინჟინერი ქურდიანი და რამდენიმე ხმოსანი, რომელნიც ნაქერალას ქედზე იყვნენ წყლების დასათვალიერებლათ წარსულნი ორშაბათს დილით დაბრუნდენ. ინჟინრებს და ხმოსნებს წყლები და ადგილ-მდებარეობა ძლიერ მრსწონებიათ. ინჟინრების შემოწმებით მხოლოდ ერთ წყაროს შეუძლია დღე-და-ღამეში მისცეს ქალაქს 700000 ვედრა წყალი. ქურდიანმა მომავალი წყალსადენის გეგმა შეიმუშავა და დასამტკიცებლათ ამ ახლო ხანში გაგზავნიან სამინისტროში.

✦ დღეს, ათ ენკენისთვეს ქალაქის თეატრში გაიმართება სალიტერატურო-დრამატიული საღამო. საღამო შინაარსიანი იქნება. წარმოდგენილი იქნება „მოფურჩხული“ ვოდ. ერთ მოქ. დ. მეს ხისა, და „ტიმოთეს ლეღვი“ გრიშაშვილისა. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ია ეკალაძ, გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, გრ. ლიღიძე შ. დადიანი ლიდო მაჭავარიანი, ს. წეველი და სხ. მიხ. წულუკიძე წაიკითხავს ლექციას ვაჟა-ფშაველას შესახებ. დასასრულ იმღერებენ კუპლეტებს ვიი-უის ხმაზე.

✦ ქუთაისის ქალაქის უფასო სამკითხველოს წელს მრავალი ქართული და რუსული წიგნები შეუძენია. ამ მოკლე ხანაში დასრულდება ამავე ბიბლიოთეკის წიგნების გადასინჯვა და კატალოგების შედგენა ბიბლიოთეკის სამზრუნველო კომიტეტს სურს მოაწყოს წიგნების გაცემა თბილისის ზუბალაშვილის სახელობას სამკითხველოს სისტემაზე.

✦ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კომიტეტი ატყობინებს ქუთაის ქალაქის გამგეობას, რომ მომავალ ლაზარეთების გახსნა და ბინის დაქირავება სახლის მეპატრონეებთან შეთანხმებით უნდა მოხდესო.

✦ ამ დღეებში საფიჩხიის დავით კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოს გამგეობა, ამავე სამკითხველოს სასარგებლოთ ელექტრო თეატრ „მოპლეზირში“ გამართავს სეანსებს.

✦ ორშაბათს, 7 სექტემბერს, ქალაქის სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ ბალახვანის ქუჩიდან ქალაქის ქმიურ ლობარატორიაში გაგზავნა ადგილობრივ მეპურეთაგან გამომცხვარი პური შესამოწმებლათ.

✦ ქუთაისის მაზრის საბჭედრო უფროსის განკარგულებით პირველი ხარისხის მოლაშქრენი გაგზავნილ იქნენ გუშინ, 9 ეკენისთვეს. ამავე უფროსის განკარგულებით ის პირველ ხარისხის (წითელ ბილეთებიანი) მოლაშქრენი, რომელნიც დღემდის არ გამოცხადებულან, გაიგზავნებიან „ეტაფეზე“.

✦ როგორც მგზავრები სჩივიან, ოსეთის სამხედრო გზაზე ფოშტის სადგურებზე დიდი უწესობა არის არ შეიძლება წესიერათ ე. წ. „ტროიკა“ გამოიწეროთ და ან გაიგოთ სადგურის გამგისგან, თუ სად შეიძლება ეტლის შოვნა. საჭიროა, ამას ყურადღება მიექცეს

✦ წელს გელათის მონასტრის დღესასწაულზე 8 ეკენისთვეს შედარებით წასულ წლებზე მცირე ხალხი დასწრო, მიუხედავათ იმისა, რომ მდინარე წყალწითელაში გადასავალი საცალფეხო ხიდი ჯკვე გაკეთებული იყო.

✦ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის დროებით აღმასრულებელს ნება დართეს, 14 სექტემბერს მოიწვიოს არაჩვეულებრივი კრება ორი ამომრჩევლის ასარჩევათ, რომლებიც სახელმწიფო საბჭოს ექვრების ასარჩევ სხდომაზე უნდა დაესწრონ.

✦ თფილისის ქალაქის ბეითალთა სხდომაზე აუცილებელ საჭიროებათ მიიღეს თფილისში ერთ-ერთ, ვარშავის ან იურიევის საბეითლო ინსტიტუტის გადმოტანა.

✦ პეტროგრადიდან თფილისის ქალაქის თავს დეპეშით ატყობინებენ, რომ ვარშავის პოლიტეხნიკუმის გადატანის საკითხი ჯერ საბოლოოთ არ გადაწყვეტილა. ამაზე თბილისს სხვა ქალაქებზე მეტათ იმედოვნება შეუძლია. საჭიროა მხოლოოთ, მეფის მოადგილის მიერ შთამდგომლობის აღრძა და საჭირო თანხის თანვე ჩვენება.

**შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის მე-168 ე ნუმერში ახალ ამბავში აღნიშნულიცნობა: ოლქის სასამართლოს მიერ ლიდია შალამბერიძის დამნაშავეთ ცნობისა, ღირსების აყრისა და ოთხი წლის გამასწორებელი რაზმის მისჯის შესახებ—სიმართლეს მოკლებულია. უნდა იყოს: ოლქის სასამართლომ ასეთი სასჯელი მიუსაჯა **ვლადიმერ ლომიძეს** ლიდია შალამბერიძის დაჭრის თაობაზე.

# საღვთო სჯულის სწავლება სახალხო სკოლებში.

### (განათლების ახალი მინისტრის განკარგულების გამო).

ფრიად საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოგვიტანეს გაზეთებმა შესახებ სამღვთო სჯულის სწავლებისა სამშობლო ენაზე საშუალო სასწავლებლებში. იმ გიმნაზიებშიო, ვკითხულობთ ამ განკარგულებაში, სადაც არა რუსთა ელემენტები 50 პრონცენტი იქნება, საღვთო სჯულის სამშობლო ენაზე შეისწავლიანო. (იხილეთ გაზ. „სამშობლო“ № 125).

შეჩვეულია, ეს განკარგულება გავრცელდება, როგორც სავაჟო, ისე ქალთა გიმნაზიებშიო და აგრეთვე სამოქალაქო, თუ პირველ დაწყებით უმაღლეს საქალაქო სასწავლებლებშიაც, რითაც ქართველ მოსწავლეებს შეეძლებათ სამშობლო ენაზე შეისწავლონ საღვთო სჯული და საერთოდ ღვთისმეტყველება. ამ გვარათ მოსწავლეები უფრო ზედმეტს გაიგლიან და იმასაც საფუძველიანათ, ვიდრე აქამდის, როდესაც ამ საგანს გადიოდენ არა სამშობლო ენაზე.

ამ ჟამად ჩემი განზრახვა არის შევეხო ამავე საგნის სწავლებას ჩვენს ქართულ სასოფლო ორკლასიან სამინისტრო სასწავლებლებში. ხსენებულ სასწავლებლებში ღღემდის სამშობლო ენაზე გადიოდენ ამ საგანს მხოლოდ პირველ ორ განყოფილებაში და, ან იშვიათად, მესამე განყოფილებაშიაც (სულ ექვსი განყოფილებაა), დანარჩენში კი საღვთო სჯულის ბავშვები სწავლობენ რუსულ ენაზე. წარმოუდგენელია ის სიძნელე და გაჭირვება, რომელშიაც ვარდებოდენ მოსწავლეები ამ საგნის სწავლის დროს რუსულ ენაზე, რადგანაც ყველას კარგათ მოეხსენება, როგორი ძნელი დასაძლევია, რომ სოფლის ბავშვებს იმდენათ შეგნებით შეასწავლოთ რუსული ენა ორ წელიწადში, რომ იმათ გაუჭირვებლათ შეეძლოსთ საღვთო სჯულის საფუძვლიანათ და შეგნებით გავლა ამ ენაზე. სწორეთ ამითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ დიდი წვითა და დაგვით გავლილი ეს საგანი მალე ავიწყდებათ ორკლასიან სკოლებში კურს-დასრულებულ ბავშვებს, მით უფრო მაშან, თუ ისინი ამის შემდეგ სწავლას აღარ აგრძობენ...

ყველასათვის ადვილი. მისახვედრია, თუ რაგვარ სიკეთეს [illegible] სკოლებს, თუ დღეიდან [illegible] სჯულის სწავლება [illegible] ენაზე, თანახმათ განათლების მინისტრის განკარგულებისა.

ამისთვის ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან გარემოებას ახლავე უნდა მიექციონ ყურადღება სრულიად საქართველოს ეპარქიების ეპისკოპოსებმა და დაუყონებლივ აღძრან შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს. ან და, მათის თაოსნობით, მოხდეს კრება ორკლასიან სკოლების საღვთო სჯულის მასწავლებელთა, რათა მათ შეიმუშაოს გეგმა საღვთო სჯულის სწავლებისა ქართულ ენაზე ხსენებულ სკოლებში და იშუამდგომლონ მისი საქმით განხორციელება დღეიდანვე, რასაც დიდათ ხელს უწყობს ქართულ ენაზე მშვენიერი სახელძღვანილოების არსებობა.

**მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.**

# ერთი გოქაულის ოინები.

### (ამბავი სერგი ჭყონიას ფოტაციებისა).

(საკუთარის კორესპონდენტისგან)

**ქ. ფოთი.** თითქმის ერთი კვირაა, რაც ეს ამბავი მოხდა, მაგრამ დღესაც ფოთელების აღშფოთებას სამზღვარი არა აქვს და ყველა, დიდი თუ პატარა, გაკვირვებული და გაშტერებულია!

როცა „ბრესლაუ“, თუ „გებენი“ მოუახლოვდა ფოთს და ყუმბარები დაგვიშინა, შევშინდით და შევძრწუნდით, მაგრამ იმედი მაინცა გვქონდა, რომ ჩვენ ზურგს იქით სდგას რუსეთის ძლიერი მხედრობა, მთავრობა, პოლიცია, ხალხი, მოვლენ და მოგვეშველებიანო, მაგრამ როცა ციხე შიგნიდანვე ტყდება, როცა თვით ისინი ერევიან ექსპროპრიაციის საქმეში, რომლებიც მშვიდობიანობის დასამყარებლათა და მოქალაქეთა დასაფარავად არიან დანიშნულნი, მართალი მოგახსენოთ, ყოველივე სასოება გვეკარგება და აღარ ვიცით, ვიღას მივმართოთ, ვიღას შევჩივლოთ ჩვენი გაჭირვება, ვინღა იქნება ჩვენი სიცოცხლისა და ქონების დამცველი?!...

— ღმერთო, რა დღეში ვართ, როდის გვეშველება მოსვენება გარეშე თუ შინაური მტრებისა და შანტაჟისტებისაგანო? ეკითხებიან ფოთელები ერთმანეთს და შავ ფიქრებს შეუპყრია თითოეული ჩვენთაგანი.

ეს შავი ფიქრები, სხვათა შორის, გამოწვეულია აქ კარგად ცნობილის სერგი ჭყონიას მოტაციებით, რომლის დაწვრილებითი ისტორიაც ასეთია:

ამ რამდენიმე ხნის წინათ აქაურ ვაჭარს—თოფურიძეს შანტაჟისტების წერილი მიუვიდა: „თუ გინდა მზესა და მთვარეს უყურო, ათი ათასი მანეთი გადაეცი სერგი ჭყონიას და ის კიდევ ჩვენ გადმოგვცემსო“.

სერგი ჭყონია შეძლებული და ცნობილი პირია ფოთში. და მისი საშუალებით თოფურიძისაგან ფულის მიღება ადვილიც იყო და ხელ საყრელიც იმავე შანტაჟისტებისათვის, რადგანაც ათას თუმანს, რომ თოფურიძეს წაართმევდენ, შემდეგ ორი ათასს თვით ჭყონიას მოსთხოვდენ, ვინაიდან შუამავლობაში ჩაბმული ჭყონიას თანამოზიარეთ გამოაცხადებენ და უფრო ადვილათ შეაშინებდენო...

ასე ჰფიქრობდენ ახლა ფოთელები.

როცა თოფურიძემ წერილი მიიღო ჭყონია აგარაკად, თუ რაღაც საქმეზე იყო. ჩამოვიდა იგი ფოთში თუ არა, თოფურიძემ ყველაფერი შესჩივლა და წერილიც აჩვენა.

აღშფოთებულმა სერგი ჭყონიამ ურჩია: „ყველაფერი ეს ჯერ პოლიციას გამოუცხადოთ, ის დაგვარიგებს და მერე შენ შვილთან ერთად ჩავუსაფრდებით იმ შანტაჟისტებსაო“...

2 ეკენისთვეს, ღამით.

— იქნებოდა ასე ცხრა თუ ათი საათი—ვიღაცამ ჭყონიას სახლის კარები დაუკაკუნა. ჭყონიას იმ საღამოთი ცოლშვილი ჩამოსვლოდა აგარაკიდან და რაკი შიგნიდან ხმაურობა გაიგონა, ვიდრე ჭყონია კარებს გააღებდა, ეს „ვიღაცა“ გაპარულიყო კიდეც.

ჭყონიას ცოლშვილს ალიაქოთი შეუდგათ, მიხვდენ, რომ შანტაჟისტებისაგან გამოგზავნილი კაცი უნდა ყოფილიყო...

მეორესა თუ მესამე დღეს, საღამოთი ვიღაცამ კიდევ დააკაკუნა ჭყონიას ბინის უკანა კარები...

სახლში კვლავ შეშფოთდენ ჭყონიამ აიღო რევოლვერი, მივიდა კარებთან და გასძახა.

— ვინა ხარო!

— მე ვარ,—ბოქაული, კარი გამიღეო. სერგი ჭყონიამ ხმაზე იცნო ბოქაული კარები გაუღო და სახლში შეიპატიჟა.

ბოქაული დიდხანს დარჩა ჭყონიასას და მშვენიერი ვახშამიც მიირთვა ვახშამზე სულ შანტაჟისტებსა და მათ შეპყრობის შესახებ ლაპარაკობდენ. ბოქაულმა ჭყონიას ბინის ოთახებიც კი დაათვალიერა...

ნავახშმებს ბოქაულმა სთხოვა ბ-ნ ჭყონიას: ცოტა გამაცილეო. ჭყონიაც გაჰყვა ეზოს კარებამდე. აქ ბოქაულმა თურმე ხმას აუმაღლა და ბრძანების კილოთი უთხრა:

— როცა თოფურიძე ამ ათასს თუმანს გადმოგცემს უეჭველად მე უნდა დამითვალო. მე ვიცი, რომ თოფურიძე ამ ფულს ამზადებს და თუ არ მოკვდა, აუცილებლათ მოგიტანს, მაშასადამე, ის ფული შენგან უნდა მივიღოვო.

განცვიფრებულმა ჭყონიამ მტკიცეუარი უთხრა—მე ვერც ფულს მივიღებ და ვერც გადმოგცემ... ჩემი საქმე არ არისო და საჩქაროდ უკან გამობრუნდა.

პარასკევს, 4 სექტემბერს, ღამით, იმ დროს, როცა ჭყონია ახალუხის ამარა იყო და ის იყო დაწოლას ეპირებოდა, კვლავ ვიღაცამ კარები დაუკაკუნა.

სერგი ჭყონიამ კარები გააღო და „გოროდოვოი“ კი შეეფეთა.

— ეზოს წინ ფაიტონში პრისტავი ზის და გიბარებსო. უთხრა „გოროდოვოიმ“.

ჭყონია ფაიტონთან მივიდა, მაგრამ ბოქაულის მაგივრათ, ვიღაც ცილინდრიანი კაცი დახვდა. როცა ჭყონია უკან გაბრუნდა, სახლის კუთხიდან გადმოხტა ბოქაული, იშიშვლა ხმალი და ჭყონია ფაიტონთან მიათრია...

„ცილინდრიანი“ კაცი სადღაც გაპარულიყო.

ჭყონია ფაიტონში ჩააგდეს და გაიტაცეს...

ეს დაინახა ჭყონიას ცოლმა და ასტეხა საშინელი წივილ კიკილი.

— სერგი გაიტაცესო.

ქუჩაში გაიგონეს ეს ხმა. აქეთ იქიდგან გამოცვივდა ხალხი. ასტყდა საშინელი აურ-ზაური, სტვენა და ყვირილი.

ფაიტონი გაქანებული მირბოდა, მაგრამ საითაც კი წავიდა, ყველგან ხალხი გადაეღობა წინ. ბოლოს ფაიტონი „უჩასკასთან“ გაჩერდა.

ჭყონია შეიყვანეს „უჩასკაში“ და დაამწყვდიეს.

აღშფოთებული ხალხი მიეჭრა პოლიციმეისტერთან და ყველაფერი შეატყობინა. პოლიციმეისტერმა განკარგულება მოახდინა ჭყონიას განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ბოქაული უარზე დადგა. მაშინ პოლიციმეისტერმა გაგზავნა თავისი თანაშემწე ბ-ნი გრიგოლაშვილი. ბ-ნი გრიგოლაშვილი მივიდა „უჩასტკაში“ და რა კი ბოქაული იქ აღარ დახვდა—უთხრეს სადღაც წავიდაო—თითონ გაანთავისუფლა ბ-ნი ჭყონია.

ჭყონია ნაცემ-ნაწვალები აღმოჩნდა.

კვირას, 6 ეკენისთვეს, სერგი ჭყონია ქუთაისისკენ გამოემართა გუბერნატორთან საჩივლელად და ჯერ არ ვიცით, რა პასუხი მიიღო.

მთელი ქალაქი შეძრწუნებულია ამ ამბით და აქაურები დარწმუნებულებიც არიან, რომ ბოქაულის მოქმედებას რაღაც კარგი სარჩული არ უნდა ჰქონდეს...

საჭიროა სასტიკი გამოძიება და საქმის ყოველის ეხრით გაშუქება, რომ ხალხი დამშვიდდეს და შანტაჟისტებიც აღმოჩენილ იქმნენ. **ფოთელი.**

## პროვინციის ცხოვრება.

**საყულიო.** (ქუთ. მაზრა). ამ სოფლის გაჭირვება კალმით აუწერელია. ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ აქაურების გაჭირვება მთელი თავისი სინამდვილით დაინახოს და თვალებში ცრემლი არ მოერიოს. შარშანდელს მოუსავლობას წრევანდელიც ზედ დაერთო და ხალხის სასოწარკვეთილებას საზღვარი არ აქვს. ასეთ გაჭირვების დროს დრამის ფულის მოთხოვნა სწორეთ მეეწყინარებელია ისეთი პირისაგან, რომელსაც ჩვენს სულიერ მამათ მოაქვს თავი. და თუ ხალხის გაჭირვებისადმი ჩვენი ზოგიერთი სულიერი მამა ისეთ გულგრილობას იჩენს და ინდობს, საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ მაინც მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და დრამის ფულის აკრეფვა გადაიდვას იმ დრამდი, ვიდრე ხალხს არ შეუწყობს, რაც შეეხება იმას, თუ რით დაიკმაყოფილონ თავი იმ ზღვდლებმა, რომელთაც ხაზინიდან ნაკლები ჯამაგირი ეძლევათ და დრამის ფულზე არიან დამყარებულნი— საჭიროა თვითონვე სამღვდელოებამ აღძრას ამის შესახებ შუამდგომლობა და მოითხოვონ სესხის სახით დახმარება ხაზინიდან, თუ სხვაფრივ არ შეიძლება. ეჭვი არაა, თუ სულიერმა მამებმა ამ საერთო გაჭირვების დროს განაგრძეს დრამის ფულის გულისათვის ხალხის შევიწროება, ნაკლებ სიმპატიას მოიპოვებენ ხალხში და მათ მიერ აღიარებულ სარწმუნოებასაც ნიადაგი გამოეცლება. **ლაღე.**

——

**ლაილაში.** (ლეჩხუმის მაზრა) წელს ლაილაშის საზოგადოებას გამოუცხადა ადგილობრივმა ბოქაულმა (22 აგვისტოს.): „მოგეცათ საშუალება და მთავრობისაგან ნება გაქვთ ითაგოთ ლაილაშში სამოქალაქო საწავლებელი. მაშ, გამოიღეთ თქვენი წვლილი და გამოიჩინეთ ენერგია ამ დიად საქმის დასაგვირგვინებლათ“-ო. ამ გამოცხადებამ ლაილაშის "მკვიდრნი" საგონებელში ჩააგდო. ბევრს არ სურდა ამ მართლაც დიად საქმეს დახმარებოდა, მაგრამ, როგორც იქნა, ზოგიერთები მოსტეხეს და შემოსწირეს გოსს 50 მან. და მოგს 100 მან.

საკვირველია სომეხ და ებრაელ შეძლებულ მოვაჭრეთა საქციელი. ამ ვაჭბატონებმა ასეთი ძვირფასი სასწავლებლებისთვის ერთი კაპიკი არ გამოიღეს და განაცხადეს.—„რომ ჩვენ არას მოგვესწრება, სასამართლო გადმოვიტანეთ და ჩვენ მეტი არაფერი გვინდაო“. სწორეთ რომ დამახასიათებელია მათი მოქმედებისა ეს სიტყვები. დიახ, ბატონებო, ვიცით, რომ სასამართლთ თქვენთვის საჭიროა ვეჭსილების გასანაღდებლათ, მაგრამ იცოდეთ, რომ ასეთი კულტურული დაწესებულების გვერდით ავლით, დიდხანს ვერ გაძლებთ და მოვა დრო, რომ ეს სასწავლებელი, თუ თქვენთვის არა თქვენი შვილებისთვის მაინც საჭირო შეიქნება.

დაუკვირდით საქმეს და შეიგნეთ, რომ, თუ თქვენ არ მოეხმარეთ სასწავლებელს დაკარგავს ლაილაში. იშვიათია ასეთი სასწავლებელი ჩვენში (სამოქალაქო ტეხნიკურ და სამეურნეო განყოფილებით) და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ თქვენს შეცდომას გაასწორებთ და თქვენს წვლილსას დაახმარებთ ამ სიმპატიურ საქმეს. ხელის მოწერა კარგა ხანსა დაიწყო და გაძელდება კიდეც. საშუალო ოჯახები სწირავენ არა ნაკლებ 20 მანეთისა.

განკარგულებით მადლობის ღირსია ახალგაზრდა თაბორელი ირაკლი ოტიას ძე ბაკურაძე, რომელმაც შემოსწირა 200 მანეთი. (აიღეთ მაგალითი ამ ადამიანისაგან ლაილაშის ამშენებელს.) შემოწირულება აღიმატება 1600 მანეთს.

დასასრულ მივმართავ ლეჩხუმის იმ მკვიდრთ, რომლებიც სხვადასხვა ქალაქში არიან გაფანტული და, საზოგადოთ ყველა ქველ მოქმედსა გულშემატკივარს გამოიღონ თავიანთი წვლილი და შეეწიონ ამ გამანათლებელ დაწესებულებას. თითოეულ თითოულმა კ. რომელიც გულწრფელი მადლობით მიიღება.

შემოწირულება შეიძლება გამოიგზავნოს ამ მისამართით: დაბა ლაილაში, ღმვდელს იოანე მუსურიძეს.

Incognito

——

სოფ. **დაბლა საქარა.** პირველ სექტემბერს, ღამით სოფელ დაბლა საქარაში მოჰკლეს ყოვლად უწყინარი, 75 წლის მოხუცებული მემამული ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჩხეიძე.

საწყალობელი სახლიდან გაუყვანიათ საცვლების ამარა ორმოც საჟენზე ყანაში, იქ უსროლიათ იმისთვის საფანტით გატენილი თოფი გვერდში და მერე წაუხრჩვიათ.

ამ საზარელმა მკვლელობამ მთელი დაბლა საქარა და არგვეთი ფეხზე დააყენა და საშინლადაც დაალონა.

საქმე ის არის, რომ იმავე ნიკოლოზ ჩხეიძის უფროსი ძმა—მელქისადეკი შარშინწინ ამ დროსვე მოკლეს თავის სახლშივე, როცა ძმა შინ არ იყო. როგორც ხალხი ამბობს, ეს მეორე ძმაც, ნიკოლოზიც იმავე მკვლელებმა მოკლესო...

ამ მკვლელების პარტიიდან თუმცა ერთს თერამეტი წლის კატორღა უკვე მიუსაჯეს, მარა ნამდვილი მკვლელები ამ ნიკოლოზის მკვლელობისთვის გაქცეულ... ვნახოთ რა იქნება.

მიზეზი ამ დიდი, განსაკუთრებული და იშვიათი ორი ძმის ჩხეიძეების ამოწყვეტისა, რომელნიც იყვენ მთელს იმერეთში განთქმული მემამულენი ერთ დროს, იცეს ორი სოფლის—დაბლა საქარისა და არგვეთის მცხოვრებლებმა.

ჩვენც გაზეთის ფურცელზე აღარ მოვყვებით ამ მკვლელობის მიზეზების გარკვევას, რადგან დარწმუნებული გახლავართ, ადამინისტრაცია და სამართალიც დამნაშავეებს გამოაშკარავენ და საზოგადოების აღშფოთებულს გრძნობას დააწყნარებენ. **მგზავრი.**

## ღია ბარათი.

**ბ. ბ. ილია ნუცუბიძეს და ვანო ბახტაძეს.**

გაზეთ „სამშობლოს“ მე 169 ნუმერში მოთავსებულია წერილი ბ. ილია ნუცუბიძის და ვანო ბახტაძის ჩემს წინააღმდეგ, რომლითაც ბრალს მდებენ, ვითომ მე მათი ნაშრომი მიმეთვისებიოს.

საქმის ნამდვილი შინაარსი კი შემდეგია:

მართალია, ჩემს ვაეს, რომელიც ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობს საკანიკულოთ დათხოვის დროს ორ საგანში რუსულსა და ანგარიშში ხელახალი გამოცდა დაუნიშნეს, და მეც მასწავლებელს დავეძებდი. ჩემმა ნათესავმა თ. ვარლამ გელოვანმა მითხრა: ვანო ბახტაძემ აღმითქვა და ის გიშოვნის კარგს მასწავლებელსაო.

მაისის ბოლო რიცხვებში მე გიახელითქუთაისში საქმეების გამო და, სხვათა შორის, იმ განზრახვითაც, რომ მასწავლებელი მეშოვნა, რადგანაც გამოსწორების საქმე გვიანდებოდა.

მეორე დღესვე ვინახულე ბ. ვანო ბახტაძე, რომელმაც მითხრა მასწავლებელი ზზათ მყავსო, მოვიყვან თქვენს ბინაზე და ნაშრომის რაოდენობაზე მოვილაპარაკოთო. მეც ბ. სერგო მახარაძის ბინა დავუნიშნე, სადაც მეორე დღეს მოიყვანა ვ. ბახტაძემ ყმაწვილი, რომელიც ილია ნუცუბიძეთ გამიცნო.

მცირეოდენი ბაასის შემდეგ, მე ვსთხოვე რამდენს მთხოვდენ სასყიდელს ბავშის მომზადებაში, რაზედაც მიპასუხეს: „ჩვენ ორივენი უნდა წამევიდეთ, იმ მიზნით, რომ მოწაფეები სხვებიც გვინდა ავიყვანოთ და თქვენს სახლში ნება უნდა მოგვცეთ ვამაცადინოთო და თქვენი შვილის მოსამზადებლათ კი მოგვეცით თვეში ოცი ოცი მანეთი და ჩვენ ორი კაცი შეგვინახეთ ბინითა და ხარჯითო.

მეც სიტყვა არ მითქვამს დავეთანხმე და გადასწყვიტეს მესამე დღეს უნდა წასულიყვენ ლეჩხუმში, ჩემს სახლში. რამოდენიმე ფული მთხოვეს წინდაწინ და მეც ოცდა ხუთი მანეთი მივეცი.

მესამე დღეს, მართლაც, ჩასულან ცაგერში და იქ ბ. ვარლამ გელოვანის დახმარებით ეშოვათ ოთხი მოწაფე კიდევ.

ერთი კვირის შემდეგ, მეც დავბრუნდი სახლში და მასწავლებლები სახლში დამიხვდენ თავიანთი მოწაფეებით. რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ მომთხოვეს 15 მანეთი რაიც მაშინვე მივართვი. ბ-ნ ი. ნუკუბიძემ და ვ. ბახტაძემ დარჩენ ჩემს სახლში 13 აგვისტომდი და ამ ხნის განმავლობაში ასწავლიდენ სხვა ბოვშებთან ერთად ჩემს შვილსაც.

13 აგვისტოს წამოვედით ერთად ქუთაისში, ვინაიდან 17 აგვისტოსთვის გამოცდები იყო დანიშნული.

ამრიგათ ბ. ბ. ი. ნუკუბიძე და ვ. ბახტაძე ჩემს ბავშს ასწავლიდენ ივნისს, ივლისს და აგვისტოს ნახევარ თვეს და არ მგონია მიღებულ ფულზე უარი სთქვან ამ გამოანგარიშებით და თანხმად ჩვენი გარიგებისა მათ ერგებათ ჩემგან კიდევ აგვისტოს ნახევარი თვის, რომლის მიცემის თანხმობა კიდეც შევუთვალე მათის გამოგზავნილის კაცის პირით, რაზედაც უარი სთქვეს.

ამ რიგათ სიტყვა „მითვისება“ ჩემთვის უჩვეულია და სრულიადაც არ შეესაბამება სიმართლეს. ორი თვის ანგარიში მიღებული აქვს და მესამე თვის რაც ერგებოდა ვაძლიე და არ მიიღეს, მეტი გვერგებაო და რა გზით ერგებათ არ ვიცი, მით უმეტეს, რომ ჩემი ბავშის სრულიად მოუმზადებელი გამოდგა, როგორც გამნაზიის მასწავლებლებმა გადმომცეს და კიდევაც იმავე განყოფილებაში დარჩა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მე მაინც თანახმა ვარ გარიგებისამებრ დავაკმაყოფილო.

სასამართლოში მიწვევენ, დიდის სიამოვნებით თანახმა ვარ გაეყვე, მხოლოდ ღება უნდა ექნეს არჩეულ პირებს ამ გარემოების მცოდნე პირებს დაეკითხონ.

**თ. ნიკოლოზ ჩიქოვანი.**

——

P. S. ვმადლობ ბ. ვ. ბახტაძეს, რომელმაც თავის ხელით მოიტანა გაზეთი „სამშობლო“ და მეხილეს დაუტოვა ჩემზე გადმოსაცემათ ზედ წარწერით „თ. ნიკ. ჩიქვანს“, რომელშიც იყო მოთავსებული მათი წერილი ჩემს წინააღმდეგ, და რომელსაც წითელი კარანდაში ქონდა შემოვლებული, მაგრამ ჩემდა საბედნიეროთ გაზეთ „სამშობლოც“ მომდის და არც თვალს მაკლია ჯერ-ჯერობით, რომ ვერ შემენიშნა იმხელა წერილი.

**თ. ნიკ ჩიქოვანი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო!

საჯაროდ შემახსენა ჭეშმარიტების აღსადგენად ამით გამოვაცხადო რომ აკაკის დაკრძალვაზე მე არ ვეოფილვარ, როგორც ქუთაისის მთავრობის გიმნაზიის პედაგოგიური კორპორაციის წარმომადგენელი. დაკრძალვაზე ჩემს ეოფნას ჭმობდა კერძო სასიათი, ეს იყო მხოლოდ სურვილი რამდენიმე ქართველი ამხანაგისა, გიმნაზიის კორპორაციას აქ ადგილიც არ ქონებია და ბ-ნი ნაცნობი ამ შემთხვევაში თქვენის გაზეთის ფურცლებზე სწორე ცნობას არ ადნიშნავს.

(იხ. წერილი: „პასუხად ბ-ნ უცნობს.“ „სამშობლო“ 6 სეპტ.)

პატივისცემით **ა. სვანაძე**

——

ბ-ნო რედაქტორო!

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ვანის განყოფილების გამგეობა, უმორჩილესათ გთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცელზე მოგვითავსოთ ანგარიში სეირნობისა, რომელიც გამართული იყო სოფ. ვანში. 12 წარსულ ივლისს აღგილობრივ წ. კ. საზ. სასარგებლოთ.

ანგარიში.

შემოვიდა—სულ—324 მ. 19 კ. დაიხარჯა—179 მ. 67 კ. დარჩა ნადადათ—144 მ. 52 კ. ამასთანავე გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნით იმ პირთ, რომლებმაც კეთილ იქნეს და მონაწილეობა მიიღეს სეირნობის მოწყობაში, და აგრეთვე შემომწირველებს, რომლების სიაც ბეჭზავნეთ გამოსაცხადებლათ. თქვენს პატივცემულ გაზეთში.*)

**გამგეობა.**

——

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბ-ნ იაკინეს სოფიო ალექსანდრე წერეთლის ასულს და ქ-ბ. ფეოდოსია ქვარიანისას, რომლებმაც 30 ამა აგვისტოს მიიღეს შრომა და თანხლებით, ადგილობრივი საზეიმოხვედრის მზრუნველებისა: მასწ. ისიდორე ბოჭორიშვილისა და ამ. სოდომონ იოსელიანისას, შეაგროვეს, წყალტუბოს ამბულატორიუმთან საზოგადოებისაგან, ოცდაათი მანეთი და 15 კაპიკი; ზემოხსენებულ ამბულატორიუმზე არსებულ აკაკის სახელობის საზეიმოხვედრის საჯარგებლოთ. აქვე მოგვეცეს შემწირველთა სია:

კნ. ელისაბედ წერეთელმა—1 მან. ანნა გურიელისამ—1 მან. კრეტინამ 1 მან. ესტატე ხაქოვანმა—50 კაპ. ალ. ფირცხალავამ—50 კაპ. ძველი ამბნოს კარიდან—50 კაპ. მიხაკო ძნელაძემ—50 კაპ. სონა არჯევანიძემ—50 კაპ. გიორგი გეგიამ—50 კაპ. ეუფთუკელმა რ.—50 კაპ. ასონ წულუკიძემ—50 კაპ. ბესარიონ მდივანმა—50 კაპ. გუბერნატორის ამბნოს კარიდან 1 მ. ბიკტორ ალექსანდრესაძე იოსელიანმა 50 კაპ. ბიკტორ ბაქრაძემ—50 კაპ. სოდომონ იესეს ძე იოსელიანმა—2 მან. მასწ. ისიდორ ბოჭორიშვილმა—55 მაპ. დანარჩენებმა ვინაობის გამოჩენა არ ისურვეს განსაკუთრების გულითადს მადლობას ვუძღვნით კნ. ალისაბედ წერეთელისას, ენერგიული დახმარებისათვის და შემდეგ უველას, ვინც ამ კეთილი საქმისათვის დახმარება აღმოგვიჩინა საზეიმოხვედრის მზრუნველთ

**ისიდორე ბოჭორიშვილი.**

——

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ნება მიბოძოთ უღრმესი მადლობა გადუხადო ბ. იაკორ ს. კიღურაძეს, რომელმაც დიდი ხალისით მიიღო ჩვენი მოწოდება და ქ. ფოთში თავის ნაცნობ მეგობრებს შორის შეაგროვა და გამოგვიგზავნა. ასკანის სახალხო საზეიმოხვედრისათვის 20 მან. და 7 შაური აგრეთვე დიდ მადლობას გვწირავთ ბ. ბ. შემომწირველებს, რომელთა გვრებიც აქ მოგვეცა:

იაკორ კიღურაძემ—2 მან. იოსებ შამუგიამ—1 მ. ვანო კალანდაძემ, არსენ მკავანაძემ, მირიან ვაჩეიშვილმა, ქრისტეფორე მიქაშავიძემ, სერგო სიხარულიძემ, გრიგოლ დოლიძემ, კარონ ჭედიძემ, კოწია ჭითანავამ, ერმოგენ კორკელიამ, დიმიტრი ბერიძემ, ალექსანდრე ხოშტარიამ, არტემ ნალბანდიანმა, კაპიტონ ედიავამ, ალექსი სართანიამ, გაბრიელ მკალობლიშვილმა, ვანო გოგიტაძემ, ვარლამ ორჯონიკიძემ, ზოსიმე ფარულავამ, სოდომონ არონიშიძემ და დავითო ხორავამ **ათ-ათი შაური**, ვარლამ კალანდაძემ 60 კ. აპოლონ კიღურაძემ და იაკობ ბაკუზოვმა **ორ-ორი აბაზი**; ლევან დგებუაძემ, ივლიან ოსიძემ, პავლე ჩხაიძემ, სიმონ პარტხალაძემ, იდარიონ კაჭარავამ და გრიგოლ ტაბაგუამ **ექვს-ექვსი შაური**; ერმილე შაფთავაძე, მიხეილ დომოთიძემ, სამსონ კუარაცხელიამ, ზინობა ყდენტმა, ნოე მეფარიშვილმა, X. X. ვასო გიგინეიშვილმა და დუკა ხუჭუამ **ხუთ-ხუთი შაური**; მაქსიმე ჩილაჩავამ, სიმონ ტოდაძემ, ვარლამ ვაჩეიშვილმა, გიორგი გაგუამ, არსენ ქორჩილავამ, სოკრატი ვაჩეიშვილმა, ბესარიონ თედიამ, ირაკლი სიხარულიძემ, ანტონ ადამიამ, ლუკა კოდუამ, სიმონ მახარაძემ და ვალოდი მკავანაძემ **თითო აბაზი**; ირაკლი არაქელოვმა 3 შ. გიორგი ხუხია 2 შ. სერგეთონ ჭანიშვილმა 10 შ.

სამკითხველოს მართველი **მღ. ერმოლოზ ჯაველიძე.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

*) უადგილობის გამო, შემომწირველთა სიას, რედაქცია ვერ ბეჭდავს. **რედ.**


**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყოლეულაძეების სამკურნალო**

**—| ა ბ ა ნ ო. |—**

[illegible] ბანო მდებარეობს მადლობ ბუნებით შემკულ მთის ჭალზე და, როგორც ნამდვილ [illegible] გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაეოლილ ტიებს (მადრიას), კუჭის ტკივილს, გენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიდება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, [illegible] ოს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის [illegible] საკუთარი [illegible] ... ოსანი. ... ხრესილში სადგურია [illegible] ... ბანომდი. ქუთაისის [illegible] ... ტია სერნია ვოდის“. [illegible] დაბრუნდება სადა-

თ.